

მუხლი 54.

სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

1. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

ა) საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება;

ბ) პირადი განცხადება;

გ) სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლა;

დ) შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების შეუსრულებლობა აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად უნივერსიტეტის მიერ დადგენილ ვადებში;

ე) წინამდებარე შინაგანაწესის 55-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა;

ვ) კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი მძიმე, ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის;

ზ) სემესტრული რეგისტრაციის გაუვლელია ზედიზედ სამი სემესტრის განმავლობაში;

თ) გარდაცვალება.

2. წინამდებარე შინაგანაწესით განსაზღვრული მოთხოვნები ვრცელდება რეზიდენტზე (საექიმო სპეციალობის მაძიებელზე) რეზიდენტურისათვის კანონმდებლობითა და თსსუ-ს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით დადგენილი სპეციფიკისა და თავისებურე-ბების გათვალისწინებით. (N23/2, 29.04.2013წ.)